სახელმწიფო დასაქმების პროგრამები: პოლიტიკისგან შორს?

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დასაქმების პროგრამები 2006 წლის შემდეგ ტრადიციად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები უმუშევრობის რეალურ მაჩვენებელს სრულად ვერ ასახავს, ამ პრობლემის სიმწვავე ცხადად იკვეთება მისთვის დათმობილი ყურადღებით, განსაკუთრებით, პოლიტიკური დაძაბულობის ზრდის პირობებში.

უმუშევრობის თემა, როგორც წესი, განსაკუთრებით აქტუალური წინასაარჩევნო პერიოდში ხდება. საქართველოს მთავრობამ დასაქმების პირველი პროგრამა[1] 2006 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ წამოიწყო. მეორე პროგრამის –„დასაქმების პროგრამა 2007: დასაქმება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით“ – განხორციელება 2007 წლის ზაფხულში დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ ჯერაც არ დასრულება, 2007 წლის შემოდგომაზე, პოლიტიკური სიტუაციის გამწვავების ფონზე, ხელისუფლებამ მოახდინა დასაქმების ახალი პროგრამის ინიცირება. ამჯერად ამ პროგრამის განხორციელება 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების წინაპერიოდს დაემთხვა.

ეს ანგარიში მიმოიხილავს დასაქმების ბოლო ორ პროგრამას და უმუშევრობის შემცირების სფეროში საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის დამახასიათებელ თავისებურებებს.

საწყისი პირობები

საქართველოში არსებულ მწვავე უმუშევრობას ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი გამოსწორების ნიშნები არ დასტყობია. ხელისუფლება მუდმივად უსვამს ხაზს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეკორდული ზრდის დონეს[2], გაუმჯობესებულ ბიუროკრატიულ და საკანონმდებლო ბიზნეს-გარემოს და საერთაშორისო არენაზე ზედიზედ მესამე წელს საქართველოს, როგორც ყველაზე რეფორმატორული ქვეყნის[3] საუკეთესო მაჩვენებელს. თუმცა, ის ფაქტი, რომ „ბიზნესის კეთების“ ჩამონათვალში საქართველო საფრანგეთის, გერმანიისა და მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკების დიდი ნაწილზე მაღლა დგას, რიგით მოქალაქეებსა და მათი ცხოვრების დონეზე ბევრ პრაქტიკულ ასახვას ვერ ჰპოვებს. ბიზნესის საქმიანობის გასაიოლებლად მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ჯერჯერობით კერძო სექტორში დასაქმების დონის აწევა ვერ მოახდინა. იმავდროულად, სახელმწიფო სექტორში დასაქმების წილი 2003 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა. ხელისუფლებამ უარი თქვა „ზრდასრულთა საბავშვო ბაღზე“, როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა საქართველოს საჯარო სამსახურს მოსწრებულად უწოდა. კომპაქტური და ეფექტური მმართველობის სისტემის შექმნის მცდელობას მრავალი შემცირება, უწყებათა შერწყმა და მთელი რიგი დაწესებულებების გაუქმება მოჰყვა. ამგვარად, ოფიციალური სარწმუნო მონაცემების არაარსებობის მიუხედავად, სავსებით შესაძლებელია, რომ მას შემდეგ უმუშევრობის რეალური მაჩვენებელი გაუმჯობესების ნაცვლად კიდევ უფრო გაუარესებულიყო.

ბოლოდროინდელი საზოგადოებრივი გამოკითხვის[4] შედეგები აჩვენებს, რომ მოსახლეობას ყველაზე მეტად უმუშევრობის შიში აქვს (გამოკითხულთა 31 პროცენტის თანახმად). ამავე გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა მთავრობის ამოცანათა ჩამონათვალში პირველ ადგილზეა. შესაბამისად, 2006 წელს მთავრობის ინიციატივით დაიწყო „დასაქმების“ პროგრამა.

აღნიშნული პროგრამის მიმოხილვა და უფრო დეტალური შეფასება მოცემულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 2007 წლის მარტის ანგარიშში.[5] პროგრამის თანდაყოლილი

[1] იხილეთ ჩვენი ანგარიში 2006 წლის დასაქმების პროგრამის შესახებ „უმუშევრობასთან ბრძოლა საქართველოში“, ვებ-გვერდზე: www.transparency.ge

[2] ხელისუფლების განცხადებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობამ საქართველოში 2006 წელს 1 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა

[3] მსოფლიო ბანკი, „ბიზნესის კეთება 2008“ (DoingBusiness 2008)

[4] საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), საქართველოს ამომრჩეველთა ეროვნული გამოკითხვა, 2007 წლის სექტემბერი

[5] ანგარიში ხელმისაწვდომია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებ-გვერდზე:

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გარდა, კრიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი საგანი გახდა პროგრამის ინიცირება მოულოდნელად დანიშნულ ადგილობრივ არჩევნებამდე. ოპოზიციის წარმომადგენლებმა და ექსპერტებმაც პროგრამა იმ მიზეზით გააკრიტიკეს, რომ მათი განცხადებით, ის ამომრჩევლის მოქრთამვის მცდელობა იყო; „საერთაშორისო გამჭვრივალობა – საქართველო"-მ აღნიშნული პროგრამა ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენების[6] მაგალითად დაასახელა.

პროგრამა ითვალისწინებდა სამთვიან სტაჟირებას კერძო საწარმოებში, რომლებიც შესაბამის სურვილს გამოთქვამდნენ. სტაჟიორები სახელმწიფო ბიუჯეტიდან თვეში 150 ლარს იღებდნენ. კერძო ბიზნესებს პროგრამის დასრულების შემდეგ სტაჟიორების სამსახურში აყვანის ვალდებულება არ ეკისრებოდათ, მაგრამ მათი მხრიდან ასეთი ნაბიჯი წახალისებული იყო. ასევე, დამსაქმებლები ვერანაირ გავლენას ვერ ახდენდნენ იმ გადაწყვეტილებაზე, თუ ვინ და როგორი კვალიფიკაციების მქონე იქნებოდნენ მათთან სახელმწიფოს მიერ გაგზავნილი სტაჟიორები. მთლიანობაში, პროგრამა სავსე იყო ნაკლოვანებებით და ცნობილი გახდა უზარმაზარი დანახარჯების გამო, რომელმაც 24 მილიონ ლარს მიაღწია, საბოლოოდ კი უმუშევრების პროფესიული გადამზადების ან დასაქმების თვალსაზრისით მცირე ან საერთოდ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. დამატებით, ინფლაციურმა წნეხმა, რომელიც ამ დანახარჯებმა გამოიწვია, ქვეყნის ეკონომიკას ხანგრძლივი ზიანი მიაყენა.

დასაქმების პროგრამა 2007

2007 წლის დასაქმების პროგრამა თავისი არსით წინამორბედისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. პრეზიდენტი სააკაშვილი პირველი პროგრამის განხორციელების პერიოდში მუდმივად ხაზს უსვამდა, რომ აღნიშნული პროგრამა არსებული ფორმით არა მარტო უნდა შენარჩუნებულიყო, არამედ რაოდენობრივად ორჯერ უნდა გაზრდილიყო და 2007 წელს ბენეფიციართა რაოდენობა 100 ათასი ადამიანი უნდა გამხდარიყო. თუმცა, საბოლოოდ პროგრამა გაცილებით უფრო გონივრული და ფინანსურად ხელმისაწვდომი აღმოჩნდა. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის №110 დადგენილებით პროგრამა ოფიციალურად დამტკიცდა. დადგენილების თანახმად, პროგრამის ბენეფიციარები არა უმუშევარი ადამიანები, არამედ ტურიზმსა და მომიჯნავე დარგებში მომუშავე მცირე და საშუალო ზომის საწარმოები არიან. მათ ხუთწლიანი შეღავათიანი სესხის ასაღებად პარტნიორ ბანკს უნდა მიმართონ და აჩვენონ, რომ შეუძლიათ სამუშაო ადგილების შექმნა და შესაბამისად, დასაქმების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროგრამა პირველი მცდელობისგან განსხვავებით, მხოლოდ სამთვიანი არ არის და ის ხუთი წლის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს.

სესხის გარდა, პროგრამა ბენეფიციარ საწარმოებს უფასო გადამზადებას (ტრენინგს) და კონსტულტაციას სთავაზობს. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც დამწყებ, ისე მოქმედ ბიზნესებს, თუმცა განკარგულებაში კონკრეტულად არის აღნიშნული, რომ დამწყებ ბიზნესებზე გაცემული თანხა მთლიანი თანხის 20%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

პროგრამისთვის სახელმწიფომ ბიუჯეტიდან 5.5 მილიონი ლარი გამოყო. 5 მილიონი ხუთწლიანი საკრედიტო ხაზია პარტნიორი ბანკისთვის წლიური ორპროცენტიანი განაკვეთით. პარტნიორი ბანკი ვალდებულია, პროგრამაში მონაწილე მცირე და საშუალო საწარმოებზე სესხები მაქმისუმ 12 პროცენტიანი წლიური განაკვეთით გასცეს. დანარჩენი 0.5 მილიონი ლარი პროგრამის ადმინისტრირებასა და გადამზადების კომპონენტზე უნდა დაიხარჯოს. განკარგულება ასევე ადგენს სესხის მაქსიმალურ ზღვარს – 50 000 ლარს და შეღავათიანი პერიოდის ხანგრძლივობას – მაქსიმუმ ერთ წელიწადს.

პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, პრაქტიკული პასუხისმგებლობა კი, პროგრამის დარგობრივი მიმართულებიდან გამომდინარე, მის ქვემდებარე ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს ეკისრება.

---

http://www.transparency.ge/files/215_273_847895_Fighting%20Unemployment%20in%20Georgia%20-%20E.pdf

[6] ანგარიში ხელმისაწვდომია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ვებ-გვერდზე: http://www.transparency.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=215&info_id=267

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

მთავრობის №110 დადგენილება პარტნიორ ბანკს არ აკონკრეტებს, თუმცა იმავე დღეს, 2007 წლის 30 მაისს, მიღებული საქართველოს მთავრობის განკარგულება №263 პარტნიორად პროკრედიტ ბანკს ასახელებს. ბანკი პასუხისმგებელია სესხის განაცხადის ფორმის შემუშავებასა და მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა ფილიალსა და ოფისში სესხის განაცხადების მიღებაზე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სამიზნე ჯგუფს თბილისის გარეთ არსებული საწარმოები წარმოადგენს, განაცხადების შევსება თბილისშიც არის შესაძლებელი.

განმცხადებლებმა უნდა შეავსონ ერთგვერდიანი განაცხადის ფორმა, რომელთა მიღებაც პროკრედიტ ბანკის ოფისებშია შესაძლებელი. განმცხადებლებმა უნდა მიუთითონ პირადი ინფორმაცია (სახელი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ინფორმაცია, ოჯახური მდგომარეობა), ინფორმაცია მათი ბიზნესის შესახებ (საქმიანობის სფერო, ადგილმდებარეობა, საკონტაქტო ტელეფონი და დამატებითი შემოსავლების ოდენობა), მოთხოვნილი სესხის რაოდენობა, უზრუნველყოფა, საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. ფორმაში მხოლოდ მცირე ადგილი ეთმობა სესხით დასაფინანსებელი პროექტის აღწერილობას.

სესხის გაცემისას ბანკი სარგებლობს შერჩევის ჩვეული კრიტერიუმებით, აფასებს რა შემოთავაზებული პროექტის განხორციელებადობას და ბიზნესის ლიკვიდურობას, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს „ცუდი" სესხების გაცემის შანსები. ბანკი იღებს საპროექტო განაცხადებს, აფასებს მათ და აფინანსებს მხოლოდ განხორციელებად/სანდო პროექტებს, რადგან ცუდი სესხის გაცემის შემთხვევაში ფინანსურ დანაკარგს არა სახელმწიფლო ბიუჯეტი, არამედ სწორედ ბანკი განიცდის. ბანკი არ არის მხოლოდ სახელმწიფო პროგრამის ნაწილის ადმინისტრირების მიზნით დაქირავებული აგენტი, არამედ მას სესხის გაცემაში მნიშვნელოვანი ინტერესი უდევს.

ტურიზმის მიმართულება

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავენ, რომ პროგრამა მხოლოდ სესხის გაცემით არ შემოიფარგლება. როგორც პროგრამის კოორდინატორი დიმიტრი ჯაფარიძე აღნიშნავს, ბენეფიციარებისთვის ასევე თანაბრად მნიშვნელოვანია გადამზადება და დახმარება მარკეტინგის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ბიუჯეტში ამ ღონისძიებებისთვის თანხები მხოლოდ 2007 წლისთვის გამოიყო, დადგენილება და დეპარტამენტი იმედოვნებენ, რომ საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებს გაუჩნდებათ პროგრამის ამ ნაწილის დაფინანსების და მომავალი წლების განმავლობაში მასში წვლილის შეტანის სურვილი.

ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, იმის ნაცვლად, რომ მოღვაწეობის სფეროს მიუხედავად პროგრამა ყველა მცირე და საშუალო საწარმოსთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი, ტურიზმის სფერო გამიზნულად იყო შერჩეული. თავდაპირველი პირობა, რომ პროგრამა არა ცალკეული ადამიანების, არამედ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის იქნებოდა გამიზნული, ჯაფარიძის განცხადებით, იმის გაცნობიერებას ეყრდნობა, რომ სწორედ მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ ნებისმიერი საბაზრო ეკომინიკის ხერხემალს, როგორც წარმოებისა და ზრდის და ასევე დასაქმების თვალსაზრისით. მათი გაძლიერების ხელშეწყობა გრძლევადიან პერსპექტივაში განვითარებისა და დასაქმებისკენ მიმართული ყველაზე სწორი გზა იქნება.

ჯაფარიძის განცხადებით, თუ საქართველოში არსებულ ბუნებრივ და ინფრასტრუქტურულ რესურსებს გავითვალისწინებთ, ტურიზმის სფეროს შერჩევა ბუნებრივი იყო. საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნება და სხვადასხვა ტიპის ტურიზმის განვითარების კარგი პოტენციალი ამ სფეროს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად აქცევს. გარდა ამისა, დიდი სახლები და მოვლილი ეზოები ქვეყნის ყველაზე მიუდგომელ ადგილებშიც კი ადვილად შეიძლება შედარებით იაფ ოჯახურ სასტუმროებად გადაკეთდეს, რომლებიც ჩამოსულ სტუმარს თავშესაფარსა და საკვებს შესთავაზებენ. ჯაფარიძის განცხადებით, ერთ-ერთი მიზეზი არის ასევე ქვეყანაში ტურისტების რაოდენობის სტაბილური ზრდა და ადექვატური საცხოვრებელი პირობების, მომსახურებისა და სერვის-ცენტრების ნაკლებობა. ტურიზმის დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში 1 მილიონამდე უცხოელი ჩამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მონაცემების მოპოვების მეთოდოლოგია ცნობილი არ არის, დეპარტამენტის წამომადგენლები

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

განმარტავენ, რომ ეს რაოდენობა 2005 წლის მონაცემებთან შედარებით 30%-იანი, ხოლო 2006 წელთან შედარებით 9%-იანი[7] ზრდაა.

როგორ მუშაობს პროგრამა

საბანკო პროცედურები

დასაქმების პროგრამა 2007 წლის ივნისში დაიწყო. პროკრედიტ ბანკის მონაცემებით, პროგრამის დაწყებიდან უკვე 109 პროექტის განაცხადია დაფინანსებული, რაც სულ 2.473.00 ლარს შეადგენს; ხოლო დამატებით სხვა განაცხადების განხილვაც მიმდინარეობს.[8] 2007 წლის ბოლომდე ბანკი მთლიანად 2 მილიონამდე სესხების დაფინანსებას მოელის.

პროკრედიტ ბანკი აცხადებს, რომ მათ მიერ შემოთავაზებული პირობები საქართველოს ფინანსურ ბაზარზე საუკეთესოა. ბანკის წარმომადგენლების განცხადებით, 12% წლიური საპროცენტო განაკვეთი უპრეცედენტოა, რადგან სხვა ბანკები როგორც წესი, სესხებს 18% საპროცენტო განაკვეთის ფარგლებში გასცემენ. ასეთ მაღალ საპროცენტო განაკვეთს კიდევ ემატება დამატებითი „ფარული“ ხარჯები, რომლებიც შესაძლოა მაშინვე არ იყოს თვალსაჩინო,[9] მაგრამ რეალურად საპროცენტო განაკვეთს კიდევ უფრო მაღალს ხდის.

მიმზიდველი საპროცეტო განაკვეთის გარდა, მთავრობის განკარგულება ითვალისწინებს, რომ ბანკი გამოყოფს ერთ წელს საშეღავათო პერიოდისთვის. ბანკის წარმომადგენლების განცხადებით, ეს იმას ნიშნავს, რომ კლიეტს 12 თვის განმავლობაში შეუძლია არ გადაიხადოს არც სესხის პროცენტი და არც ძირითადი თანხა და მხოლოდ ამ პერიოდის გასვლის შემდეგ დაიწყოს თანხის დაფარვის მიზნით შენატანების გადახდა. მაგრამ, რადგან ეს სესხის ვადის ერთი წლით გაგრძელებას ნიშნავს, ეს მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებლობაა, რომლის არჩევის საშუალებაც კლიენტს საკუთარ სურვილებისა და ფინანსურ პირობების მიხედვით აქვს.

გადამზადება ტურიზმის სფეროში

ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლები პროგრამის სხვა კომპონენტებში მიღწეული წარმატებების შესახებაც საუბრობენ. მომსახურების სფეროზე საქართველოს ეკონომიკის რეორიენტირებისათვის გადამზადება და კონსულტაცია დიდ საჭიროებას წარმოადგენს. ამჟამად ქვეყანაში, განსაკუთრებით კი რეგიონებში, შესამჩნევია იმ უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკის ნაკლებობა, რაც ხელს შეუწყობს მომსახურების ხარისხის გაზრდას. ასეთი ნაკლოვანებები ქალაქებშიც თანაბრად თვალსაჩინოა. საბჭოთა ეკონომიკური წყობის შედეგად დატოვებულმა მემკვიდრეობამ და შეცვლილ ეკონომიკურ გარემოზე მოურგებელი საგანმანათლებლო სისტემის არაეფექტურობამ ამ ნაკლოვანებების არსებობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

შესაბამისად, დეპარტამენტმა პირველ ფაზაში პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველთათვის გადამზადების (ტრეინინგების) კურსების ჩატარება გადაწყვიტა. ამ მიზნით ხელშეკრულებები დაიდო თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის და ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის ფაკულტეტებთან. ჯაფარიძის განცხადებით, ამ ტრენინგების მიზანი დაინტერესებული ადამიანებისთვის ტურიზმის მენეჯმენტის საფუძვლების გაცნობა და სესხების შერჩევის პროცედურისთვის უკეთესად მომზადებაში ხელის შეწყობა იყო. შემდგომ, მეორე ფაზაში, დეპარტამენტი დაუკავშირდა ევრაზიის ფონდ საქართველოს[10]

---

[7] მესინჯერი, 2007 წლის 21 დეკემბერი, №244, „მთავრობის განცხადებით 2007 წელს საქართველოში თითქმის მილიონი ტურისტი ჩამოვიდა“, განთავსებულია ვებ-გვერდზე: http://www.messenger.com.ge/issues/1511_december_21_2007/1511_econ_one.html

[8] ინფორმაცია მოწოდებულია 2008 წლის იანვარში.

[9] ეს შეიძლება იყოს ანგარიშების შენახვის ხარჯი, გაუმართლებელი გადასახადები ან სხვა პირობები, რაც ხელშეკრულებაშია მითითებული, მაგრამ გარკვევით არ არის ახსნილი ბანკის წარმომადგენლების მიერ, რაც ხშირად კლიენტების შეცდომაში შეყვანას იწვევს.

[10] ამ ეტაპზე „ევრაზიის ფონდი საქართველო“ რეორგანიზაციის პროცესშია და ის ამჟამად „ევრაზიის პარტნიორობის ორგანიზაციის“ სახელით არის რეგისტრირებული

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

და პროგრამის მონაწილეების გადამზადებაში მათი დახმარება ითხოვა. ევრაზიის ფონდმა ივლისში ტრენინგების ჩამტარებელი ორგანიზაციების შერჩევის ტენდერი გამოაცხადა და სექტემბერში ოთხი კომპანია შეარჩია – ტრენინგების და კონსულტაციების ცენტრი (CTC), ელკანა, ტრენინგებისა და განვითარების ჯგუფი და სვანეთის ტურიზმის ცენტრი, რომლებმაც საქართველო რეგიონების მიხედვით გადაინაწილეს და მთელი ქვეყანა დაფარეს. ევრაზიის მიერ დაფინანსებული ტრენინგები ყურადღებას ამახვილებდა პროგრამის მონაწილეთათვის ყველაზე გამოსადეგ, პრაქტიკულ საკითხებზე, როგორიცაა ფინანსური მენეჯმენტი და ბუღალტერია, გადასახადები და საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობა, მარკეტინგი და გაყიდვები, მათ შორის ფასების დადება, კლიენტებთან ურთიერთობა და შესაძლოა ასევე დამატებითი მომსახურება, რაც უკავშირდება ტურების ორგანიზებას, ტექნიკის დაქირავებას და სხვა სერვისებს. გადამზადების პროგრამა 2007 წლის ოქტომბერში დაიწყო და ექვსი თვის განმავლობაში გაგრძელდება. მიმდინარე პროექტის დასრულების შემდეგ დასაქმების პროგრამაში დამატებით ჩართვას ევრაზია ჯერჯერობით არ გეგმავს.

კონსულტაციები მშენებლობის საკითხებზე

პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია კერძო ბიზნესების ჩართვა კონსულტაციების პროცესში. არქიტექტურული და დეველოპერული კომპანია „არსი“ პროექტის მონაწილეებს არქიტექტურულ ნიუანსებთან დაკავშირებით რჩევებსა და გამოცდილებას უზიარებს. აღნიშნულ კომპანიას 2002 წლიდან აქვს პროექტი „ქართული სახლი“, რომელიც მიზნად ისახავს ტრადიციული ქართული არქიტექტურისა და დიზაინის კვლევას, შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას.

როგორც ამ პროექტის მენეჯერი, ნანა მეფარიშვილი აღნიშნავს, კომპანიის წარმომადგენლები სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს კონსულტაციებს და პრაქტიკულ რჩევებს აძლევენ შენობებში ტრადიციული ქართული არქიტექტურის ელემენტების დამატებასა და შეტანაზე, რათა ისინი უფრო მიმზიდველი და კომფორტული გახადონ. პროექტის მენეჯერის განცხადებით, მათი რჩევები შეიძლება იყო კედლებზე რამდენიმე ძველი სურათის დამატება, ან მთლიანი შენობის დიზაინის შეცვლა. ონსულტაციები კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარეობს. თუმცა, პროგრამაში კომპანიის უფრო კონკრეტული მონაწილეობის დეტალების შესახებ ნანა მეფარიშვილი არ საუბრობს. სრულყოფილად ნათელი არ არის თუ რა არის თანამშრომლობის საფუძველი – პროექტში „არსის“ მონაწილეობა და ბენეფიციარებთან ურთიერთობა რაიმე ხელშეკრულებას არ ეყრდნობა. ეს თანამშრომლობა ტურიზმის დეპარტამენტთან უფრო ზეპირი შეთანხმების ფონზე ხდება. უფრო მეტიც, რადგან ასეთი უსასყიდლო მონაწილეობის დროს რაიმე ანგარიშვალდებულების მექანიზმი არ არსებობს, პრაქტიკულად შეუძლებელია „არსის“ მონაწილეობის ხარისხის ან მისი ჩართულობის კრიტერიუმების შეფასება. შესაბამისად, იმის თქმაც ძნელია, თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათი მომსახურება პროგრამის ყველა ბენეფიციარისთვის.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები

ამ დასაქმების პროგრამის უფრო კეთილშობილური ხასიათის მიუხედავად, განსაკუთრებით მის წინამორბედ ან მომდევნო პროგრამასთან შედარებით, რამდენიმე პრობლემა მაინც აშკარაა. პირველი პარტნიორ ბანკს უკავშირდება. რადგან პროგრამის დოკუმენტებში არ იყო მითითებული პარტნიორი ბანკის სახელი, რომელიც პროგრამის საკმაოდ დიდი ნაწილის განხორციელებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი, მისი შერჩევა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა შესაბამისი კერძო ბანკისთვის 5 მილიონი ლარის საბიუჯეტო თანხების გადაცემას ითვალისწინებდა, გარიგება არა კონკურენტული ტენდერით, არამედ ერთ კონტრაქტორთან მოლაპარაკების სახით მოხდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პარტნიორი ბანკის შერჩევის პროცედურის განმარტება და ასევე შესაბამისი კონტრაქტის ასლიც სთხოვა. სამინისტროდან მიღებული წერილი განმარტავს, რომ სამინისტრომ სხვადასხვა „წამყვან“ ბანკებთან წინასწარი კონსულტაციები ჩაატარა და მათ აუხსნა, რომ შესაბამისი მოთხოვნები იყო „მცირე სესხებზე მუშაობის გამოცდილება, რეგიონული ოფისების ფართო ქსელი, მარტივი საბანკო პროცედურები და ა.შ.“. მაგრამ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც მცირე ოდენობის სესხებსა და რეგიონული დაფარვის გამო მაღალ ადმინისტრაციულ დანახარჯებში გამოიხატება, პროექტი ბანკებისთვის „თითქმის არ იყო

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

მომგებიანი“ და ისინი დაინტერესებული არ აღმოჩნდნენ. წერილში აღნიშნულია, რომ საბოლოოდ მხოლოდ მცირე რაოდენობის ბანკები დარჩნენ დაინტერესებული და მათ შორის პროკრედიტ ბანკი სამინისტროს მოთხოვნებთან მიმართებაში ყველაზე შესაფერის ბანკად იქნა მიჩნეული. ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ ხელშეკრულება სამინისტროსა და ბანკს შორის 2007 წლის 16 აგვისტოს დაიდო. თუმცა, წერილს თან არ ახლდა ხელშეკრულების ასლი, მიუხედავად იმისა, რომ ის გარკვევით იყო მოთხოვნილი. თუმცა, განმეორებით მოთხოვნის შემდეგ ხელშეკრულება მაინც იქნა მოწოდებული.

მეორე პრობლემა თავად ბანკზე დაკისრებული სამუშაოს შესრულებას უკავშირდება. როგორც ჩანს, ბანკის ყველა ფილიალის თანამშრომლები არ იყვნენ შესაბამისად ინფორმირებული პროგრამის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შესახებ ინფორმაცია და განაცხადი მთელი ქვეყნის მასშტაბით ბანკის ყველა ოფისში უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი.[11] ზოგიერთ ფილიალში გამოკითხული თანამშრომლები საერთოდ არ იყვნენ ინფორმირებული პროგრამის არსებობის შესახებ და აცხადებნენ, რომ ამჟამად ბანკი შეღავათიანი სესხების არანაირ პროგრამაში არ მონაწილეობს და მხოლოდ ჩვეულებრივი ბიზნეს-სესხების გაცემა შეუძლია. ზოგიერთი თანამშრომელი სესხის განაცხადის ფორმებს გასცემდა მას შემდეგ, რაც „კლიენტის“ დიდ დროს დაახარჯავდა იმის ახსნას, რომ ტურიზმის სფეროში მომუშავე მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფო პროგრამით იყო დაინტერესებული. ის თანამშრომლებიც კი, რომლებმაც განაცხადის ფორმა გასცეს, პროგრამის შესახებ ერთგვაროვან ინფორმაციას არ იძლეოდნენ. ერთ-ერთ ფილიალში დაინტერესებულ „კლიენტს“ უთხრეს, რომ მას განაცხადის ფორმის თან წაღება და შემდეგ ბანკში დაბრუნება არ შეეძლო და ფორმა ადგილზევე უნდა შევსებულიყო. თუმცა სხვა ფილიალში ასეთი მოთხოვნა არ წამოუყენებიათ. ბანკის თანამშრომლები პროგრამის სხვა პირობებში კარგად ვერ ერკვეოდნენ და ხშირად განმარტავდნენ, რომ მათ არ იცოდნენ თუ როდის იყო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა, ან საერთო არსებობდა თუ არა ის. ერთი ვარაუდი ის იყო, რომ განაცხადები მანამდე მიიღებოდა, ვიდრე თანხები არ ამოიწურება.

ამ მიმართულებით ბანკის მუშაობის ეფექტურობა სავარაუდოდ კიდევ უფრო გააუარესა დასაქმების პროგრამამ, რომლის შესახებ ინფორმაცია 2007 წლის ნოემბერში გავრცელდა და რომელიც 100.000 ადამიანს ისევ კერძო ბიზნესებში დროებით „სტაჟირებას“ სთავაზობდა. პროკრედიტ ბანკს, ქვეყანაში მოქმედი სხვა კომერციული ბანკებისგან განსხვავებით, ამ პროგრამისთვის ვაკანსიები არ შეუთავაზებია. როცა ბანკს სახელმწიფო დასაქმების პროგრამის ფარგლებში სესხის შესახებ ინფორმაციის მისაღებად მიმართავდნენ, ბანკის თანამშრომლებს მცირე და საშუალო საწარმოების სესხების პროგრამა, ანუ ოფიციალურად დასაქმების პროგრამა, სტაჟირების პროგრამაში ეშლებოდათ, რომელიც ასევე დასაქმების პროგრამად მოიხსენიება. ასე რომ, მათი ხშირად ისინი მყისიერად იძლეოდნენ პასუხს, რომ ბანკი პროგრამაში არ მონაწილეობს, რაიმე ვაკანსიებს არ სთავაზობს და რომ ამ პროგრამას სესხებთან არავითარი კავშირი არ აქვს.

ალბათ პროგრამის განხორციელებისას ყველაზე დიდი პრობლემა ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიის არარსებობა იყო. ორი სხვა დასაქმების პროგრამისგან განსხვავებით, მცირე და საშუალო საწარმოების სესხების პროგრამა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან საკმარისად რეკლამირებული არ არის. მართალია, ტელევიზიით შესაბამისი რეკლამები გადიოდა, მაგრამ ნაკლებმა სიხშირემ, წყვეტამ და მხოლოდ პროგრამის დასაწყისზე კონცენტრაციამ ვერ უზრუნველყო მოსახლეობის საკმარისად ინფორმირება, განსაკუთრებით, თუ პროგრამის ხუთწლიან ხანგრძლივობას გავითვალისწინებთ. გამოყენებული იყო ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებებიც, მათ შორის გაზეთებში[12] პერიოდული სტატიები. თუმცა, ფინანსური და დისტრიბუციასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საქართველოში, განსაკუთრებით კი რეგიონებში, ბეჭდვითი მედიის გავრცელების არეალი საკმაოდ შეზღუდულია. ამ პრობლემასთან

[11] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ 2007 წლის ნოემბერ-დეკემბერში ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში განთავსებული პროკრედიტ ბანკის რამდენიმე ოფისში მინი ექსპერიმენტი ჩაატარა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თანამშრომლები რომლებიც რეგიონებში იყვნენ ჩასულები, პროკრედიტ ბანკის ადგილობრივი ფილიალების ოპერატორებს პროგრამის შესახებ ინფორმაციის და შესაბამისი განაცხადის მასალების მიწოდებას და ახსნა-განმარტებას ითხოვდნენ.

[12] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთვის“ ცნობილი არ არის რეგიონალურ მედიაში მსგავსი სტრატეგიების გამოყენების შესახებ. ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლებს არ საკითხზე რაიმე ინფორმაცია არ მოუწოდებიათ.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ერთად, ბანკის მხრიდან უპროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის კლიენტებამდე და პოტენციურ ბენეფიციარებამდე სწორად მიტანის უუნარობა ეჭვებს ბადებს, თუ რამდენად ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე იყო პროგრამა რეალურად.

გარდა ამისა, პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის ელემეტები თითქმის საერთოდ არ არსებობს. პროგრამის დოკუმენტებში მითითებული არ არის სესხების გაცემის ან პროგრამის სხვა ელემენტების წარმატების შეფასების კრიტერიუმები. მითითებულია, რომ პროექტზე რამდენიმე სამინისტროა პასუხისმგებელი, თუმცა გაურკვეველი რჩება, რაში მდგომარეობს მათი ფუნქციები პროგრამასთან მიმართებაში და როგორ უნდა მოხდეს მათი განხორციელება. ეს კომპონენტები საჭიროა პროგრამის კრიტიკულად შეფასებისათვის, მისი წარმატების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ საფუძვლიანი დასკვნების გასაკეთებლად და იმ შედეგების გასაუმჯობესებლად, რომლებიც ამ პროგრამამ უნდა მოიტანოს.

ძირითადი დასკვნები

მცირე და საშუალო ბიზნესზე სესხების გაცემის პროგრამა მისასალმებელ გადახვევას წარმოადგენს ტრადიციული სახელმწიფო პროგრამებისგან, რომლებიც მხოლოდ იმ მიზნით იქმნებოდა, რომ მოსახლეობის გაჭირვებული ფენისთვის უბრალოდ ფულადი დახმარება და საჩუქრები დაერიგებინა და საშუალო ან გრძელვადიანი შედეგების (მათ შორის უკუჩვენების) კვლევასა და გათვლას არ ეყრდნობოდა. ასეთი ინიციატივებისგან განსხვავებით ეს პროგრამა მომავალი არჩევნებზე ფიქრით არ იყო განპირობებული და მიზნად ისახავდა გრძელვადიან შედეგს, კერძოდ, ბიზნესის განვითარების დახმარებას, რაც ხელს შეუწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას და დასაქმებას. თუმცა, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები, რის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი, საფრთხეს უქმნის პროგრამის გამჭვირვალობას და ეფექტურობას.

სახელმწიფო შესყიდვებში გამჭვირვალობის ნაკლებობის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც მუდმივად აღნიშნავენ. ერთ პირთან მოლაპარაკების წესის ხშირი გამოყენება და სახელმწიფო საკუთრების პირდაპირ გაყიდვა კონკურენტული ტენდერის ჩატარების გარეშე, ასევე მთავარ საპრივატიზაციო გარიგებებთან დაკავშირებულ გაურკვევლობები კვლავაც ჩრდილს აყენებს ხელისუფლების საქმიანობას. ამ პროგრამისთვის პროკრედიტ ბანკის დაქირავებაც ამ არასასურველი ტენდენციის გაგრძელებაა.

კვლავ პრობლემად რჩება სახელმწიფო ინიციატივების შესახებ კომუნიკაცია. საკმარისი ინფორმაციის გარკვევით და ორგანიზებულად მიწოდების გარეშე საუკეთესო მიზნების მქონე პროგრამებიც კი ვერ შეძლებენ დაგეგმილი წარმატების მიღწევას. უკვე განხორციელებული მრავალი პროგრამის შეფასების მსგავსად, ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს საზოგადოების ინფორმირების მიზნით საინფორმაციო კამპანიების მენეჯმენტს. უფრო მეტიც, იმედი გვაქვს, რომ ეს პროგრამა, ყველა მისი ნაკლოვანების მიუხედავად, არ აღმოჩნდება შედეგებზე ორიენტირებული ღონისძიების განყენებული შემთხვევა და მთავრობა მომავალშიც გააგრძელებს კერძო ბიზნესის მხარდაჭერას, როგორი მასშტაბითაც არ უნდა მოხდეს ეს.

2007 წლის შემოდგომა – მესამე პროგრამის დაწყების ფონი

უფრო წარმატებული და უკეთ გააზრებული „დასაქმების“ მეორე პროგრამის მიუხედავად, 2007 წლის შემოდგომაზე, როგორც კი მთავრობა ახალი პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დადგა, „განმუხტვის“ ხერხიც იოლად მოიძებნა. მასობრივი დასაქმების კამპანია კიდევ ერთხელ ჩვეული სტილით დაიწყო, ისევე როგორც ეს 2006 წლის ცნობილი პროგრამის დროს მოხდა, დიდი გადაფასების ან ცვლილების გარეშე.

დაძაბულობა სექტემბრის ბოლოს დაიწყო, როცა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა პრეზიდენტ სააკაშვილსა და მთავრობას სხვა ბრალდებებთან ერთად, საჯაროდ დასდო ბრალი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და მკვლელობების ორგანიზებაში. ამ განცხადებების

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

გაკეთებიდან რამდენიმე დღეში ოქრუაშვილი გამოძალვის, ფულის გათეთრებისა და უფლებამოსილების გადამატების ბრალდებით დააკავეს. თუმცა, მისი დაკავება ძირითადად მაინც პოლიტიკურად მოტივირებულ ქმედებად ჩაითვალა. ოპოზიციური პარტიების ორგანიზებით მოწყობილი საპროტესტო მიტინგების დროს რუსთაველის გამზირზე ათასობით ადამიანი გამოჩნდა, რომლებიც სხვა მოთხოვნებთან ერთად პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას, საპარლამენტო მმართველობის შემოღებას და საპარლამენტო არჩევნების 2008 წლის აპრილში ჩატარებას ითხოვდნენ. ეს უკანასკნელი მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც, თანხების დაზოგვის მიზნით, საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის შემოდგომაზე საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად უნდა ჩატარებულიყო, რაც ახანგრძლივებდა ამჟამინდელი პარლამენტის უფლებამოსილების ვადას და ამოკლებდა პრეზიდენტის ვადას. 7 ნოემბერს მშვიდობიანი მომიტინგეების დასარბევად ხელისუფლებამ ხელკეტები, რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენა; სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით გამოვიდა და მოგვიანებით ამ საფუძველზე 15 დღიანი საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ოპოზიციის მოთხოვნების ყურადღების ნიშნად პრეზიდენტმა სააკაშვილმა იმავე დღეს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებიც გამოაცხადა (თუმცა ოპოზიციას ასეთი მოთხოვნა არ გაუჟღერებია), რომელიც 2008 წლის 5 იანვარს უნდა ჩატარებულიყო. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას რეფორმების გასაგრძელებლად ხალხისგან განახლებული ძლიერი მანდატი ესაჭიროებოდა.

თუმცა დასაქმების პროგრამის ინიცირება მანამ მოხდა, სანამ ეს დრამატული მოვლენები პიკს მიაღწევდა. სააკაშვილმა ამ გეგმის შესახებ განცხადება 4 ოქტომბერს მთავრობის სხდომაზე სხვა სიახლეებთან ერთად გააკეთა. სხვა ახალი ინიციატივები იყო ელექტროენერგიისა და გათბობის ერთჯერადი ვაუჩერების და გაჭირვებული მოსახლეობისა და პედაგოგებისათვის რამდენიმე კილოგრამი ხორბლის ფქვილის დარიგება. ოპოზიციამ[13] და ექსპერტთა უმრავლესობამ ეს ინიციატივები მაშინვე შეაფასა, როგორც სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ მხარდაჭერის მოსაპოვებლად მოსახლეობის მოსყიდვის მცდელობა[14] და არა მთავრობის მიერ ღარიბი მოსახლეობის მძიმე საცხოვრებელი პირობების უეცარი გათვითცნობიერება.

პროგრამის შინაარსი

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შესახებ პრეზიდენტმა ოქტომბერში გამოაცხადა, სამართლებრივი საფუძველი, მთავრობის დადგენილება №264 1 დეკემბერს იქნა მიღებული, ხოლო დამატებითი ცვლილებები 5 დეკემბერს დამტკიცდა. პროგრამაც რეალურად ამ დღეს დაიწყო.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზანია მუშახელის პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო მხარდაჭერა. პროგრამის დიზაინი დიდად არ განსხვავდება 2006 წლის პროგრამისაგან. მცირე განსხვავებებს შორის აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პროგრამა პერსპექტიული ბენეფიციარების უფრო დიდ რაოდენობას ითვალისწინებს – 25-დან 65 წლამდე ასაკის[15] 100 000 ადამიანს. ასევე უფრო მაღალია სტიპენდიაც – 200 ლარი.[16] პირველი თვის სტიპენდია წინასწარ გაიცა. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სტიპენდიების მოთხოვნა შესაძლებელია პარტნიორ ბანკში 2007 წლის 15 დეკემბრიდან 2008 წლის 30 აპრილამდე. თუმცა, გაურკვეველია, ეს დებულება პროგრამის აპრილამდე შესაძლო გაგრძელებას (ანუ თანმიმდევრული არის თუ არა სტაჟირების სამი თვე) გულისხმობს თუ არა, თუ ბენეფიციარებს გასამრჯელოს მიღების გადადება საკუთარი არჩევანის მიხედვით შეუძლიათ. ამჯერადაც პროგრამა ეკონომიკური

[13] თუმცა, ადრეული საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ განცხადების გაკეთების შემდეგ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ურჩევდნენ მოსახლეობას სრულად ესარგებლათ ამ პროგრამებით, რადგან მათი დაფინანსება მოსახლეობის ჯიბიდან ხდებოდა. შემდეგ კი ხმა სურვილის მიხედვით მიეცათ და თავი ვალებულად არ ეგრძნოთ ამ გულუხვობის გამო

[14] 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიაში ამ და სხვა სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივად გამოყენების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მონიტორინგის ანგარიში ვებ-გვერდზე: www.transparency.ge

[15] დადგენილების თავდაპირველი ვარიანტი მიუთითბა, რომ ასაკობრივი შეზღუდვა 25-60 წელი იქნებოდა, მაგრამ ეს მოგვიანებით, 5 დეკემბერს, ოფიციალური სამუშაო ასაკობრივი ზღვრით 65 წლით შეიცვალა

[16] 2008 წლის იანვარში საქართველოს ეროვნული ბანკის ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსი 1 აშშ დოლარი = 1.59 ლარი

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

განვითარების სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს ერთობლივი ღონისძიებაა, ხოლო განხორციელებასთან დაკავშირებული კონკრეტული ფუნქციები სოციალური სუბსიდიების სააგენტოზეა[17] დელეგირებული.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს შეეძლოთ 5 დეკემბრიდან 20 დეკემბრამდე გაევლოთ რეგისტრაცია. მათგან მხოლოდ ერთადერთი დოკუმენტის, პირადობის მოწმობისა და მისი ასლის წარმოდგენა ევალებოდათ. მათ კვლავაც არ მოეთხოვებოდათ განათლების ან პროფესიული გამოცდილების მითითება. 2006 წლის პროგრამისგან განსხვავებით, სტაჟირების ადგილებზე სააგენტო კი არ აგზავნიდა განმცხადებლებს, არამედ ამჯერად პოტენციურ ბენეფიციარებს თავად უნდა მოეძებნათ პოტენციური დამსაქმებლებლები, რომლებიც გამოთქვამდნენ მათი სამი თვით აყვანის სურვილს. პროგრამაში ჩართულმა სამინისტროებმა კერძო ბიზნესებისგან და სახელმწიფო დაწესებულებიდან შემოთავაზებულ ვაკანსიები მიიღეს და ამის შემდეგ სრული სია რეგისტრირებულ მსურველებს გადასცეს.

პროგრამული შინაარსის გარდა, №264 დადგენილება დამატებით ორი თვალსაზრისითაც არის აღსანიშნავი. პირველი, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის პროგრამის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილია 641 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში. გაურკვეველია, რატომ არის გაანგარიშება გაკეთებული აშშ დოლარებში და არა ეროვნულ ვალუტაში, როგორც ჩვეულებრივ ხდება საბიუჯეტო პროცესებში.[18] გარდა ამისა, რეკლამირებისთვის გათვალისწინებული ამ ხარჯების გარდა, არც დადგენილება და არც პროგრამის დოკუმენტი არ იძლევა დამატებით ინფორმაციას მთლიანი ბიუჯეტის შესახებ. მე-5 მუხლი, რომელიც დასათაურებულია როგორც „პროგრამის ბიუჯეტი“ მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ „პროგრამის უზრუნველყოფა მოხდება შესაბამის წელს შესაბამისი უწყებებისთვის გამოყოფილი მიზნობრივი საბიუჯეტო სახსრებით“. მეორე უცნაურობა სამართლებრივი ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილებას 2007 წლის 1 დეკემბერს მოეწერა ხელი, მე-11 მუხლის მიხედვით, დოკუმენტი 2007 წლის 28 ნოემბერს შედის ძალაში, ეს კი სამი დღით ადრეა. ეს აშკარად სამართლებრივი ნონსენსია, თუმცა მისი მიზანი გაურკვეველი რჩება ჩვენთვის.

დასაქმების პროგრამა, როგორც საარჩევნო კამპანიის იარაღი

დასაქმების პროგრამის შესახებ არაოფიციალურად პირველად ოქტომბერში გახდა ცნობილი, როცა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ჯერ არც იყო ნავარაუდევი. თუმცა პროგრამის მომზადება და განხორციელება მას შემდეგ დაიწყო, რაც არჩევნები გამოცხადდა, რაც აშკარად წინასაარჩევნო კამპანიის გათვლებით გაკეთდა. პროგრამა სახელმწიფო მოხელეების მიერ იწოდებოდა, როგორც „დასაქმების საპრეზიდენტო პროგრამა 2007-2008“ და საინფორმაციო მასალებზეც და თავად განაცხადის/რეგისტრაციის ფორმაზეც იგივე იყო მითითებული, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ პროგრამის სრული ოფიციალური დასახელება იყო „სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების (გადამზადების) მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“, სადაც საერთოდ არ იყო ნახსენები პრეზიდენტის სახელი. უფრო მეტიც, ყველა საინფორმაციო მასალაში ფიგურირებდა „ხუთიანი“ და წითელი და თეთრი ფერები – ბატონი სააკაშვილისა და მისი პარტიის, ნაციონალური მოძრაობის ჩვეული საარჩევნო ნომერი და პარტიული ფერები. პროგრამა ამოქმედდა 5 დეკემბერს, რეკლამებში მითითება კეთდებოდა პროგრამაში მონაწილეობის ხუთ მარტივ ნაბიჯზე, ცხელი ხაზის ნომერი იყო 555 110 და ა.შ.

პროგრამის განხორციელების ნაკლოვანებები

თავდაპირველად გამოცხადდა მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული ვაკანსიები; თუმცა მალე ნათელი გახდა, რომ ამ ეტაპზე პროგრამა მხოლოდ თბილისში განხორციელდებოდა, ხოლო ქვეყნის

[17] სოციალური სუბსიდიების სააგენტო სდდსს-ს (სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს) მემკვიდრეა და ჯანდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფს წარმოადგენს.
[18] რა თქმა უნდა, გასაგები გამონაკლისია საგარეო ვალების დასაფარად გამოყოფილი თანხები, რადგან მათი გაანგარიშება, ჩვეულებრივ, უცხოურ ვალუტაში ხდება.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

დანარჩენ ნაწილში მისი განხორციელება თებერვლამდე გადაიდო,[19] რასაც რეგიონების მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა. ოფიციალური განცხადებით, ეს რეგიონებში ვაკანსიების არასაკმარისი რაოდენობით იყო გამოწვეული, თუმცა სახელმწიფო უწყებების მიერ გამოქვეყნებული და დასაქმების მაძიებელთათვის რეგისტრაციის ცენტრებში დარიგებული მონაცემთა ბაზა, რომელიც ასევე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზეც[20] იყო განთავსებული და 2007 წლის 12 დეკემბრით თარიღდება, საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

ამჯერადაც უცვლელი დარჩა გავრცელებული ინფორმაცია ხარვეზებისა და ვაკანსიების მოწოდებისათვის ბიზნესებზე ზეწოლის შესახებ, რაც 2006 წლის პროგრამის დროსაც აღინიშნებოდა. შთაბეჭდილების მისაღებად გამოქვეყნებულ სიაზე თვალის შევლებაც კი საკმარისია – თბილისის 20-მდე საბავშვო ბაღმა გამოაცხადა პედაგოგების ვაკანსიები და საინტერესოა, რომ ყველა მათგანი ოთხ ადამიანს ეპატიჟებოდა; საბავშო ბაღების გარდა, რამდენიმე საეჭვო კომპანიას (რომლებიც ვაკანსიებს პოლიგრაფიასა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში აცხადებდნენ) ასევე პედაგოგები სჭირდებოდა. ყველაზე სახალისო მაგალითი კი თბილისის ზოოპარკია, რომელიც ასევე ოთხ პედაგოგს საჭიროებდა. საინტერესოა, რომ 4 დეკემბრით დათარიღებულ სიაში შედიოდა „თბილისის მერიის პროგრამები", როგორც თბილისის ვაკანსიების ჩამონათვალის ერთ-ერთი ბოლო კატეგორია, რომელიც მერიის 11 სამსახურს შეიცავდა. თუმცა, სია საერთოდ არ იძლევა ინფორმაციას ვაკანსიების ტიპის ან მათი რაოდენობის შესახებ. ეს ბოლო კატეგორია ამჟამად ვებ-გვერდზე განთავსებულ მონაცემთა ბაზაში საერთოდ არ ჩანს.

პედაგოგებზე არსებული საეჭვო მოთხოვნის გარდა, როგორც ჩანს, გაურკვევლად განსაზღვრული „ტექნიკური პერსონალი" და მშენებლობასთან დაკავშირებული პროფესიები ყველაზე მეტად იყო მოთხოვნილი ყველა დამსაქმებლის, მათ შორის თბილისის საბავშო ბაღების, საავადმყოფოებისა და სხვების მიერ. მონაცემთა ბაზა ასევე აჩვენებს ყველაზე მსხვილ დამსაქმებლებმაც, მათ შორის ამ სიის მოწინავე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ „საქართველოს რკინიგზას", რომელსაც ქვეყნის მასშტაბით 13.957 პირის დასაქმება სურს. საკმაო აქტიურობით გამოირჩეოდა ასევე რამდენიმე კერძო კომპანია, მაგალითად „სახალხო ბანკი" (ქვეყნის მასშტაბით არსებული ფართო ქსელით გამო ჩვეულებრივ სახელმწიფოს რჩეული ბანკია სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის ყველა სახელმწიფო პენსიის, ხელფასებისა და დახმარებების დარიგებაში) 4.422 ვაკანსიას სთავაზობდა, "საქართველოს ბანკი" – 1.472, "ბლოკ ჯორჯია" (კერძო სამშენებლო კომპანია, რომელიც აქტიურად არის ჩართული სახელმწიფო კონტრაქტებში) – 1.472, „პოპული" („საქართველოს ბანკის" შვილობილი სუპერმარკეტების ქსელი) – 988, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" – 960, „ენერგო-პრო ჯორჯია" (საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორის ძირითადი კერძო მფლობელი) – 596.

რეგისტრაციის პროცესში განმცხადებლები ფორმებს ავსებდნენ და უთითებდნენ, რომ ამჟამად უმუშევრები არიან და პროგრამაში მონაწილეობის სურვილი აქვთ. შემდეგ მათ რეგისტრაციის ცენტრის თანამშრომლები ფურცელს გადასცემდნენ, სადაც მითითებული იყო განმცხადებლის სახელი, ნომერი და რეგისტრატორის ხელმოწერა. მთელი ეს პროცესი ხმაურიანი და ცუდად ორგანიზებული იყო. ვაკანსიების მოძიების შემდგომი პროცესი კიდევ უფრო გამაღიზიანებელი იყო, რადგან მონაწილეების ინფორმაციით, ისინი მონაცემთა ბაზაში მითითებული ერთი კომპანიიდან მეორეში გარბოდნენ და ხშირად ადგილზე მისვლისას მათ ეუბნებოდნენ, რომ ვაკანსიები აღარ დარჩა. პროგრამის რამდენიმე მონაწილე ეჭვობდა, როგორ შეივსო რამდენიმე ასეული ვაკანსია რეგისტრაციის პროცესის დაწყებიდან რამდენიმე წუთში. პროგრამის ერთ-ერთმა მონაწილემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან" საუბარში განაცხადა, რომ 7 დეკემბერს ვაკანსიების წარუმატებელი ძიების დროს მას ამავე პროგრამაში დარეგისტრირებულმა მეგობარმა უთხრა, რომ ვაკე-საბურთალოს გამგეობა[21] დასაქმების ქაღალდებზე ხელს აწერდა. ამ პიროვნებამ განაცხადა, რომ მას და რამდენიმე ასეულ სხვა ადამიანს, რომელიც შენობას მიაწყდა, სააგენტოში

[19] თუმცა, თებერვლის უკვე შუა რიცხვებში მთავრობას ჯერ არ გაუკეთებია რაიმე განცხადება რეგიონებში პროგრამის დაწყების შესახებ.

[20] http://www.economy.ge/allfiles/vakansiebi-12.12.2007.pdf დოკუმენტი მხოლოდ ქართულ ენაზეა. ადრე არსებობდა მსგავსი სია, რომელიც 2007 წლის 4 დეკემბრით იყო დათარიღებული. თავდაპირველი დოკუმენტი ასევე ხელმისაწვდომია მოთხოვნისთანავე.

[21] საინტერესოა, რომ ვაკე-საბურთალო ერთ-ერთი იყო იმ ოთხი გამგეობიდან, რომელიც 4 დეკემბრის დოკუმენტში თბილისის მერიის მუნიციპალური პროგრამების ჩამონათვალში იყო მითითებული

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

დოკუმენტებზე ხელი მოუწერეს, ისე რომ, არც კი იცოდნენ, თუ ვინ იყო მათი „დამსაქმებელი". ამ ქალბატონისა და შენობასთან შეკრებილი სხვა ადამიანების დამსაქმებელი შპს „ჰერმესი" აღმოჩნდა. ქალბატონმა მხოლოდ მოგვიანებით გაიგო, რომ აღნიშნული საწარმო თბილისის ყველა სასაფლაოს მოვლა-პატრონობაზე იყო პასუხისმგებელი.

ერთ-ერთმა პირმა, რომელიც კავშირში არ იყო პროგრამასთან, დაადასტურა, რომ 7 და 8 დეკემბერს გამგეობა პრაქტიკულად გარშემორტყმული იყო პროგრამის გაბრაზებული მონაწილეებით, რომლებიც დასაქმების ქაღალდებზე ხელმოწერასა და ბეჭდის დასმას ითხოვდნენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან" საუბარში ამ პიროვნებამ განაცხადა, რომ ის შენობაში გამგეობის ერთ-ერთი სამსახურის თანამშრომელმა, რომელთანაც საქმე ჰქონდა, უკანა კარით შეაპარა. მაგრამ როგორც მან აღნიშნა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია გარეთ მდგომ ხალხს, რომლებიც ფაქტიურად შენობაში შეიჭრნენ, როცა აღნიშნული პიროვნებისთვის უკანა კარი გაიღო.

საბუთების ხელმოწერის შემდეგ, პროგრამის არც ერთი მონაწილე,[22] რომლებსაც ჩვენ ვესაუბრეთ, სტაჟირების ადგილას არც კი მისულა. დადგენილების თანახმად, მათ სტიპენდიის პირველი ნაწილი (200 ლარი) რეგისტრაციისას მიიღეს. თანხის მეორე ნაწილის გადაცემა 5-15 თებერვლისთვის ანუ „სტაჟირების" მეორე თვის დასრულებისთანავე იგეგმება.

მეორე ნაკლოვანება, რომელიც აღინიშნება და რომელსაც 2006 წლის პროგრამასთან დაკავშირებით გარკვეულწილად ხელისუფლებაც აღიარებს, გარიგებებს ეხება.[23] კერძოდ, მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მეწარმეებს სტაჟიორები სახელმწიფო სტიპენდიიდან გარკვეული წილის მიღების პირობით აჰყავდათ. ასეთი სქემის არსებობის შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთი ქართული გაზეთის სტატიის[24] ანონიმური რესპონდენტის მიერ ახლაც გავრცელდა.

საინტერესოა, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" თხოვნით მოგვაწოდა განახლებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა 100 000 ბენეფიციარზე იყო გათვლილი, რეგისტრირებული პირების რეალურმა რაოდენობამ 113.016 შეადგინა, რომელთაგან 110.492 ადამიანმა უკვე მიიღო პირველი თვის სტიპენდია. სააგენტოს ცნობით, უკვე გამოიყო 22.220 000 ლარი. წერილში აღნიშნულია, რომ მეორე თვის სტიპენდიების თანხა თებერვალში გამოიყოფა, ხოლო მესამე თვის – მარტში. ჯერ კიდევ საკმაოდ გაურკვეველი რჩება, თუ რატომ მონაწილეობს პროგრამაში დამატებით 13 ათასი ადამიანი, მაშინ როცა მთავრობის დადგენილება მკაფიოდ განსაზღვრავს პროგრამის ბენეფიციართა მაქსიმალურ რაოდენობას – 100 ათასს. ეს ფაქტი გაკვირვების საგანი რჩება განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმებოდა, ის მხოლოდ თბილისში ამოქმედდა. გარდა ამისა, გაურკვეველია, როგორ და ვის მიერ მოხდა დამატებითი სახსრების გამოყოფა.

გამოცდილება, რომელიც არავის გაუთვალისწინებია

მიმდინარე დასაქმების პროგრამას, მისი 2006 წლის წინამორბედის მსგავსად, ნაკლებად აქვს კავშირი დასაქმების პრობლემის მოგვარებასთან, განსაკუთრებით გრძელვადიან პერსპექტივაში. ის უფრო მეტად ჩრდილოვანი გარიგებების შესაძლებლობას იძლევა და ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს. 2006 წელს დეპუტატმა ვლადიმერ პაპავამ ამ ინიციატივას უწოდა „გზა, რომელსაც არსაით" მივყავართ.

---

[22] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" პირადად ესაუბრა პროგრამის სამ ბენეფიციარს.

[23] მაშინდელი სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელმა ბატონმა ლევან ფერაძემ ამ საკითხის შესახებ აღნიშნა „საერთაშორისო გამჭვრივალობა – საქართველოს"-თან 2006 წლის პროგრამის შეფასების მიზნით გამართულ ინტერვიუში.

[24] ჯაფარიძე, ნინო, *დასაქმების პროგრამა დროებით სტაბილურობას უზრუნველყოფს,* „ჯორჯიან ტაიმსი", 2008 წლის 28 იანვარი (ინგლისურად), განთავსებულია ვებ-გვერდზე: http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=8998

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

მაშინ, როცა ქვეყანაში ინფლაცია სერიოზული პრობლემაა, ისეთი პროგრამების ინიცირება, რომლებიც დიდ დანახარჯებთანაა კავშირში[25] და რეალურ შედეგს არ იძლევა, გაუმართლებელია როგორც ფისკალური პოლიტიკის, ისე საბაზრო ეკონომიკის სწორად წარმართვის კუთხით. ასეთი მონეტარული ჩარევა ვერც დასაქმების შემცირებას უწყობს ხელს და, შესაბამისად, ვერც სიღარიბის დონის დაწევას.

იმისთვის, რომ საქართველოში უმუშევრობამ რეალურად იკლოს, ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს სისტემური ხასიათის ცვლილებების განხორციელებაზე, მათ შორის: გადასახადების შემცირებაზე, საგადასახადო და ბიზნესწარმოებასთან დაკავშირებულ სხვა კანონმდებლობაში ორაზროვანი დებულებების აღმოფხვრაზე, ბიზნესის არამართლზომიერი ზეწოლისგან დაცვაზე, საკუთრების უფლების დაცვაზე, კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების შექმნასა და დანერგვაზე, სასამართლო სისტემის გაძლიერებაზე და ა.შ. ასევე სასურველია, ინვესტიციების ჩადება მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაში, რაც პროფესიული განათლების სისტემის რეფორმით უნდა განხორციელდეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ამ ანგარიშის მომზადებისას დროის გამონახვისა და მოსაზრებების გაზიარებისათვის მადლობას უხდის ბატონ დიმიტრი ჯაფარიძეს (ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი), ქალბატონ ანი ჯობავას (ევრაზიის ფონდი საქართველო), ბატონ პაატა ლილუაშვილს და ბატონ გიორგი ჩხუბურიას (პროკრედიტ ბანკი), ქალბატონ ნანა მეფარიშვილს (არსი).

[25] მიუხედავად იმისა, რომ ახლანდელი დასაქმების პროგრამის ფასი მთავრობის მიერ დამტკიცებულ პროგრამაში არ იყო მითითებული და ის არც სახელმწიფო ბიუჯეტში არის ადვილად გამოჩენილი, მარტივი მათემატიკაც კი ქმნის საერთო წარმოდგენას. 100 000 ადამიანისთვის 600 ლარის (3 თვის განმავლობაში) გადახდა საბოლოო დაანგარიშებით მხოლოდ სტიპენდიებზე დახარჯული თანხა 60 მილიონ ლარამდე ადის. ამას ასევე უნდა დაემატოს ადმინისტრაციული და რეკლამირების ხარჯები.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge